წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის ოქმი № 13

ქ.წალენჯიხა 2019 წლის 19 აგვისტო

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია,მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია, ცოტნე მესხია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძამამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ნონა გუჩუა, დათა აკობია.

საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დარეჯან დადიანი, ნონა მიქავა,მანანა ჭანია, დალი კვარაცხელია.

არასაპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ: დავით ბელქანია, ასმათ კვარაცხელია, ბაჩუკი უბილავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია,ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის მოადგილეები ცოტნე შონია და სევერიანე შეროზია, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 14:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 15: 15 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.**

მომხსენებელი: **ცოტნე შონია-მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე**

მოისმინეს : 1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ცოტნე შონიამ. სხდომა წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ მაია მიქავამ მოითხოვა განმარტება , რეორგანიზაციის შედეგად მერია რამდენ სტრუქტურული ერთეულით მცირდება და აღნიშნული ცვლილებით ხდება თუა არა სახელფასო ფონდის ცვლილება და რამდენი შტატი ხდება ვაკანტური.

მერის პირველმა მოადგილემ ცოტნე შონიამ განმარტა , რომ ხდება ორი სამსახურის შერწყმა ეს სამსახურებია ინფრასტრუქტურის , ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახური; ეკონომიკის განვითარების , სტატისტიკის, ქონების მართვის სამსახური. ხოლო უქმდება იურიდიული სამსახური. რაც შეეხება სახელფასო ფონდს ის უცვლელი რჩება, ხოლო 29 საშტატო ერთეულზე ვაკანსია ცხადდება .

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა,რომ საორგანიზაციო და სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება ფუნქციონალურად ძალიან დატვირთული და შრომატევადი განყოფილებაა, ყველა პასუხისმგებლობა რაც ინსპექტირების ჯგუფს ევალებოდა ამ განყოფილებაზე გადადის რომელიც დაკომპლექტებულია მხდოლო 4 საშტატო ერთეულით, ეფექტიანი მუშაობისთვის მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნულ განყოფილებაში შტატების დამატება.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა რომ განყოფილება დაკომპლექტდება კვალიფიციური კადრებით და საჭიროება არ იქნება საშტატო ერთეულის გაზრდის.

საკრებულოს წევრმა გოჩა ლიპარტიამ აღნიშნა , რომ ახალი კადრებით ჩანაცვლებას სჯობია არსებული საჯარო მოხელეების გადამზადება.

მერიის სამსახურის უფროსმა მერაბ შონიამ და განათლების განყოფილების უფროსმა თეა ქარჩავამ მოითხოვეს განცადების გაკეთება.

მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსმა მერაბ შონიამ აღნიშნა, რომ მიზანშეუწონლად მიაჩნია დევნილთა განყოფილების გაუქმება და ჯანმრთელობის განყოფილების შექმნა, როცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ¼ დევნილები წარმოადგენენ, ხოლო ჯანდაცვის ააიპი უკვე არსებობს მუნიციპალიტეტში.

განათლების განყოფილების უფროსმა თეა ქარჩავამ მოითხოვა დასაბუთება თუ რა გახდა მიზეზი კულტურის, განათლების,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურში ყველა განყოფილების გაუქმების, როცა სახელმწიფოს პრიორიტეტი განათლებაა, რატომ არ უნდა ვიყოთ იმ სიმაღლეში სადაც განათლება მოწოდების სიმაღლეზეა.

საკრებულოს წევრმა სოლომონ სარიამ აღნიშნა რომ, მერიის საშტატო ნუსხაში რანგებთან შესაბამისობაში არ არის ხელფასები მოყვანილი (ერთიდაიგივე რანგის სპეციალისტებს გააჩნიათ განსხვავებული ხელფასები) და განაცხადა რომ ასეთ მოუმზადებელ საკითხს ვერ დაუჭერდა მხარს.

ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ მაია მიქავამ აღნიშნა, რომ ამ რეოგანიზაციში მე ვერ დავინახე ის ცვლილება , რომელიც რამეს შეცვლის დგილობრივ თვითმმართველობაში და მე ამ საკითხს მხარს ვერ დაუჭერ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა ცოტნე მესხიამ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 10 დეპუტატი - თემურ ღვინჯილია,თენგიზ ფიფია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა,დავით ფიფია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, ვლადიმერ კვარაცხელია; წინააღმდეგი - 7 - მაია მიქავა, სოლომონ სარია, გოჩა ლიპარტია,დათა კუკავა, თეა ხასაია,ნონა გუჩუა, დათა აკობია; თავი შეიკავა - ვალერიანე კვარაცხელიამ) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 17).

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია